ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება №18-6

ქ. ქუთაისი „8" „ოქტომბერი" 2013 წ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59), რექტორის პროფესორ გიორგი დავთაძის (შემდგომში – „მიმწოდებელი") სენაკის მუნიციპალიტეტის "სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების" დირექტორის **მურმან არჩილიას** (შემდგომში – „შემსყიდველი") სახით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას ურთიერთანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელის" ტრენერები ჩაუტარებენ ტრენინგს „შემსყიდველის" სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომლებს.

მუხლი 2. „შემსყიდველის" უფლება-მოვალეობანი

2.1. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

2.1.1. დააზუსტოს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოებები, რომელიც არსებითად არ ცვლის ხელშეკრულების პირობებს.
2.1.2 წინასწარ გაეცნოს ჩასატარებელი ტრენინგის თემატიკას და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს მასში ცვლილების შეტანა წერილობითი სახით ტრენინგამდე 2 კვირით ადრე.

2.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

2.2.1. დროულად მიაწოდოს „მიმწოდებელს" ტრენინგზე დამსწრეთა სია (არანაკლებ 16 ადამიანისა) ტრენინგის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე.

2.2.2. უზრუნველყოს ტრენინგზე დამსწრეთა დროული გამოცხადება.

2.2.2. უზრუნველყოს „მიმწოდებელის" შრომის ანაზღაურება ფაქტიურად ჩატარებული სამუშაოს მიხედვით.

2.2.4. უზრუნველყოს ტრენერების მგზავრობა, განთავსება და ტრენინგის მონაწილეთა კვება.

2.2.5. უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის ანაზღაურება ფაქტიურად ჩატარებული სამუშაოს მიხედვით.

მუხლი 3. „მიმწოდებლის" უფლებები და მოვალეობები:

3.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

3.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით მოითხოვოს და მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება.

3.2. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

3.2.1. გადაამზადოს სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წარმომადგენლები სკოლამდელი განათლების რეფორმის მოთხოვნების შესაბამისად.

3.2.2. ტრენერი ორი დღის (12-13 ოქტომბერი) განმავლობაში იმუშავებს სკოლამდელი აღზრდ... დაწესებულებების წარმომადგენლებით დაკომპლექტებულ 17 კაციან ჯგუფთან.

მუხლი 4. შრომის ანაზღაურება

4.1. „შემსყიდველი" „მომწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის ტრენინგის თითოეულ მონაწილეზე გადაუხდის 40 (ორმოცი) ლარს.
4.2 „შემსყიდველი" თანხის სრული რაოდენობის 680 ლარის ჩარიცხვას უზრუნველყოფს ტრენინგის ჩატარებამდე 7-10 დღით ადრე.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

5.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", ერთი – „მომწოდებელთან". ორივე ეგზემპლარს აქ. თანაბარი იურიდიული ძალა

5.2. ხელმოწერებით მხარეები ადასტურებენ თანხმობას ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებზე და იღებენ პასუხისმგებლობას მის შესრულებაზე.

5.3 ხელშეკრულება ძალაშია ხელის მოწერიდან 2 თვის განმავლობაში

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

ა(ა)იპ სენაკის მინიპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება

მის: ქ. სენაკი ზვ. გამსახურდიას №117 ს/კ 239892434

სს„ლიბერთი ბანკი", სენაკის ფილიალი; LBRTGE22 220101450;

ანგ./ნ GE74LB0120117902830000

დირექტორი : მ. არჩილია

„მიმწოდებელი":

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. ქუთაისი თამარ მეფის ქ. №59
ს.ს „ეიბიბი ბანკი ჯორჯია UGEBGE22
ა/ნ GE60VT0500000009993408 ს/კ 212693049
სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომელთა ტრენინგი სენაკში

რექტორი: გ. დავთაძე